საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი

პროფესორი გივი ჯავაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნინო კიკნაძე

საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი

დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): მოწვეული პედაგოგები ქეთევან ხეცურიანი, თამთა ჯოჯუა, თამარ მელიქიძე, ნინო გელაშვილი, მერი წულაია;
სხედან: პროფესორი ემერიტუსი გურამ კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო კიკნაძე, პროფესორი გივი ჯავაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოში პირველ აკადემიურ სტრუქტურას უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში, რომლის ძირითადი დანიშნულებაა „საოჯახო მედიცინის“, როგორც აკადემიური დისციპლინის დამკვიდრება და განვითარება.

საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის საქმიანობა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- სწავლება დიპლომამდელი განათლების ეტაპზე შემდეგი ფაკულტეტების სტუდენტებისთვის: მედიცინის (მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტები;

- დიპლომისშემდგომი მზადება სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“, რაც მოიცავს (ა) სრულ ვადიან რეზიდენტურას და (ბ) მზადებას მოკლევადიანი (გადამზადების) პროგრამების ფარგლებში.
- სწავლება უწყვეტი სამედიცინო განათლებისა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი თავდაპირველად ჩამოყალიბდა 2001 წელს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფარგლებში, საოჯახო მედიცინის ფაკულტეტისა და საოჯახო მედიცინის კათედრის სახით. 2006 წელს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შერწყმის შემდეგ საოჯახო მედიცინის ფაკულტეტი და კათედრა ჩამოყალიბდა თსსუ- ის საოჯახო მედიცინის ცენტრისა და დეპარტამენტის სახით.

დიპლომამდელი განათლება

საქართველოში საოჯახო მედიცინის, როგორც აკადემიური დისციპლინის სწავლება პირველად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაიწყო. კერძოდ, 2006 წელს თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტში შეიქმნა და ამავე წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა სასწავლო პროგრამა მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტებისათვის „საოჯახო მედიცინა“.

2007 წლიდან ეტაპობრივად დაინერგა სასწავლო კურსები მედიცინის I და II კურსის სტუდენტებისთვის როგორც ადრეული კლინიკური გამოცდილება, სადაც ძირითადი აქცენტი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე კეთდება.

ამავე წლიდან დეპარტამენტში მომზადდა და მომდევნო წლებში ამოქმედდა სასწავლო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (I, II და III კურსები).

2018-19 წლებიდან დეპარტამენტი ჩაერთო ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტების სწავლებაში და II კურსის სტუდენტებისთვის ატარებს სასწავლო კურსს კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შესახებ.

სადღეისოდ, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი დიპლომამდელი სწავლების ეტაპზე წარმართავს 7 სხვადასხვა სასწავლო კურსს სხვადასხვა ფაკულტეტის ქართულენოვანი და უცხოელი სტუდენტებისთვის.

- მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისათვის – „პროფესიული კომუნიკაციური უნარ- ჩვევები 1“ (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება);
- მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებისათვის – პროფესიული კომუნიკაციური უნარ- ჩვევები 2 (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება);
- მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტებისათვის – „საოჯახო მედიცინა“;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისათვის – „კომუნიკაციის უნარ-ჩვევები“;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებისათვის – „საოჯახო მედიცინა“;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებისათვის – „პრაქტიკა პირველად ჯანდაცვაში“;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის II კურსის სტუდენტებისათვის – „კომუნიკაციის უნარ-ჩვევები“.

ოჯახის ექიმთა სრულვადიანი რეზიდენტურის პროგრამის თავდაპირველი ვერსია 2002 წელს მომზადდა (ხანგრძლივობა 30 თვე) და პირველი რეზიდენტები 2003 წელს ჩაირიცხა.

დიპლომისშემდგომი მზადების ახალი სრულვადიანი პროგრამა მომზადდა საოჯახო მედიცინის სწავლების სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მონაწილეობით – ოჯახის ექიმთა ევროპული აკადემიის პრეზიდენტი ეგლე ჟებიენე (ლიტვა), ოჯახის ექიმთა მსოფლიო ასოციაციის ევროპული ორგანიზაციის პრეზიდენტი პროფესორი იგორ შვაბი (სლოვენია), პროფესორი ჯასტინ ალენი (დიდი ბრიტანეთი) და პროფესორი ადამ ვინდაკი (პოლონეთი).

პროგრამა განახლდა 2-ჯერ 2007 და 2013 წელს. პროგრამა ამჟამად 33 თვეს მოიცავს და 3 ძირითად ეტაპად არის დაყოფილი:

ეტაპი	დასახელება	ხანგრძლივობა
I	საოჯახო მედიცინის შესავალი კურსი	6 თვე
II	როტაციები კლინიკებში	17 თვე
III	საოჯახო მედიცინის დასკვნითი კურსი	10 თვე
შვებულებები	3 თვე	

ბოლო აკრედიტაციის მიხედვით თსსუ-ის რეზიდენტურის პროგრამა აკრედიტებულია 72 მაძიებელზე.
ოჯახის ექიმთა მოკლევადიანი რეზიდენტურის პროგრამა - ე.წ. გადამზადება, მოიცავს 940 აკადემიურ საათს და 6 თვეს გრძელდება.

მზადების მსურველებმა უნდა მიმართონ თსსუ საოჯახო მედიცინის ცენტრს პირადად, ან ტელეფონის, ან ელ-ფოსტის საშუალებით – იხ. „საკონტაქტო ინფორმაცია“.

<u>საერთაშორისო თანამშრომლობა</u>

თსსუ საოჯახო მედიცინის ცენტრი და დეპარტამენტი ჩართულია მრავალ საერთაშორისო პროექტში.
სხვადასხვა დროს ცენტრისა და დეპარტამენტის პარტნიორები იყვნენ და არიან:

- ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემია;
- ლიტვის ოჯახის ექიმთა მასწავლებლების საზოგადოება;
- ვილნიუსის უნივერსიტეტი;
- კლაიპედას უნივერსიტეტი;
- ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტი;
- ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემია
- ამერიკაში დაფუძნებული მოძრაობა „გულისხმიერი ექიმები“ (Physicians with Heart)

<u>აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები</u>

გივი ჯავაშვილი - პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ნინო კიკნაძე - ასოცირებული პროფესორი;
გურამ კიკნაძე - ემერიტუსი;
მოწვეული პედაგოგები: თამარ მელიქიძე, ქეთევან ხეცურიანი, მერი წულაია, ქეთევან რუსია, ნათია იმერლიშვილი, ნინო გელაშვილი, თამთა ჯოჯუა, გურანდა ძინძიბაძე, ნათია გიორგაძე, თამარ ცაგარეიშვილი, სალომე ჭელიძე, ციცი ჩიქოვანი, რომლებიც ძირითადად კლინიკა „რეიმანში“ ეწევიან საექიმო პრაქტიკას.
დეპარტამენტთან ასევე თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან ასოცირებული კლინიკების
„რეიმანისა“ და „კურაციოს“ სხვა ოჯახის ექიმები, რომლებიც ჩართული არიან კლინიკურ გარემოში სტუდენტთა სწავლებაში.